



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/4446
12/07/2021

4446-09-2-202107121433



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ ეკა ურუმაძეს
ასლი: ქალბატონ ლია თოდუას

#3-740 წერილის პასუხად გიგზავნით ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015-2020 წლებში ჩატარებული მონიტორინგის შესახებ.

სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგი

2015 წელს სასმელი წყლის მონიტორინგის ინდიკატორულ პარამეტრებად შერჩეული იყო სუნი, გემო, ფერიანობა, სიმღვრივე, მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები, საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, E. coli, St. faecalis, PH, ამიაკი, ნიტრატი, ნიტრიტი, პოლიფოსფატები, სულფატები, ფტორიდები, ქლორიდები, პერმანგანატული ჟანგვადობა, ნარჩენი თავისუფალი ქლორი, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, პესტიციდების საერთო რაოდენობა, პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები და რადიონუკლიდები, დარიშხანი, ტყვია, ნიკელი, რკინა, მანგანუმი, სპილენძი, თუთია, კადმიუმი, ნავთობპროდუქტები (მ.შ. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის „ტრანსსასაზღვრო წყლების, საერთაშორისო ტბებისა დაცვისა და გამოყენების“ 1992 წლის კონვენციის „წყალი და ჯანმრთელობის პრობლემების ოქმის“ შესაბამისად).

2015 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აიღო სასმელი წყლის 701 სინჯი; დარღვევა გამოვლინდა 301 სინჯში (მიკრობიოლოგიური, ორგანოლექტიკური, პარაზიტოლოგიური, ფიზიკური (პერმანგანატული ჟანგვადობა), ქიმიური (ქლორიდები, ნიტრიტები, ამონიუმის იონი, ტყვია).

2016 წელს სასმელი წყლის მონიტორინგის ინდიკატორულ პარამეტრებს დაემატა კოლიფაგები და ალუმინი.

2016 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აიღო სასმელი წყლის 462 სინჯი; დარღვევა გამოვლინდა 222 სინჯში (მიკრობიოლოგიური, ორგანოლექტიკური, ფიზიკო-ქიმიური (პერმანგანატული ჟანგვადობა).

2017 წელს სასმელი წყლის მონიტორინგის ინდიკატორულ პარამეტრებად შეირჩა სუნი, გემო, ფერიანობა, სიმღვრივე, მეზოფილური აერობები და ფაკულტატიური ანაერობები, საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, E. coli, St. Faecalis, PH, ამიაკი, ნიტრატი, ნიტრიტი, ქლორიდები, სულფატები, პერმანგანატული ჟანგვადობა. ამასთან, პოლიმეტალებით სასმელი წყლის დაბინძურების შესაძლო საფრთხის, ასევე, ონკოლოგიური დაავადებების მაღალი მაჩვენებლების გათვალისწინებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იდენტიფიცირებული იქნა მუნიციპალიტეტები ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და იმერეთის რეგიონებში, სადაც შერჩეულ ინდიკატორულ პარამეტრებს დაემატა ლაბორატორიული კვლევები ისეთ მაჩვენებლებზე, როგორცაა: დარიშხანი, ტყვია, რკინა, მანგანუმი, სპილენძი, თუთია, კადმიუმი, ნიკელი.

2017 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აიღო სასმელი წყლის 548 სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 225-ში (მიკრობიოლოგიური, ორგანოლექტიკური, ქიმიური (რკინა), ფიზიკური (პერმანგანატული ჟანგვადობა)).

2018 წელს სასმელი წყლის მონიტორინგის წინა წლის ინდიკატორულ პარამეტრებს დაემატა ბორი.

2018 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აიღო სასმელი წყლის 576 სინჯი; დარღვევა გამოვლინდა 244 სინჯში (მიკრობიოლოგიური, ორგანოლექტიკური, ფიზიკო-ქიმიური).

2019 წელს სასმელი წყლის ინდიკატორულ პარამეტრებად შეირჩა სუნი, გემო, ფერიანობა, სიმღვრივე, მეზოფილური აერობები და ფაკულტატიური ანაერობები, საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, E. coli, St. Faecalis, კოლიფაგები, PH, ამიაკი და ამონიუმის იონი, ნიტრატი, ნიტრიტი, სულფატები, ქლორიდები, პერმანგანატული ჟანგვადობა, პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები, დარიშხანი, ტყვია, ნიკელი, რკინა, მანგანუმი, სპილენძი, თუთია, კადმიუმი.

2019 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აიღო სასმელი წყლის 552 სინჯი. დარღვევა გამოვლინდა 224 სინჯში (ორგანოლექტიკური; მიკრობიოლოგიური).

2020 წელს სასმელი წყლის ინდიკატორულ პარამეტრებად შეირჩა სუნი, გემო, ფერიანობა, სიმღვრივე, მეზოფილური აერობები და ფაკულტატიური ანაერობები, საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, E. coli, St. Faecalis, PH, ნიტრატი, ნიტრიტი, სულფატები, ქლორიდები, ფოსფატები, ფტორიდები, პერმანგანატული ჟანგვადობა, ტყვია, კადმიუმი.

2020 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აიღო სასმელი წყლის 500 სინჯი; დარღვევა გამოვლინდა 134 სინჯში (მიკრობიოლოგიური, ორგანოლექტიკური, ქიმიური (ნიტრიტები)),

სალმონელას კვლევა

სალმონელას მონიტორინგის ფარგლებში აღებული და გამოკვლეულია თერმული დამუშავების შემდეგ გამოსაყენებელი და მზა სურსათი, კერძოდ: საქონლის ხორცი, ღორის ხორცი, ფრინველის ხორცი, ხორცის პროდუქტები, ძეხვეულის ნაწარმი, ყველი, კარაქი, ნაყინი, შაურმა, ნედლი ბოსტნეულისა და ხილის სალათი, ტორტი/ნამცხვარი კრემიანი, რძის ფხვნილი, ხილისა და ბოსტნეულის არაპასტერიზებული წვენი, კვერცხის პროდუქტები.

2015 წელს სააგენტომ აიღო სურსათის 700 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 32 ნიმუშში;

2016 წელს - სურსათის 639 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში;

2017 წელს - სურსათის 1275 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში;

2018 წელს - სურსათის 830 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 2 ნიმუშში;

2019 წელს - სურსათის 800 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში;

2020 წელს - სურსათის 825 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 14 ნიმუშში.

ლისტერიას კვლევა

2015 წელს აღებულია სურსათის 400 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 37 ნიმუშში (ნახევარფაბრიკატები, ფარში, საქონლისა და ქათმის ხორცი, შაურმა, ნაყინი);

2016 წელს - 301 ნიმუში, დარღვევა 1 (ფარში);

2017 წელს -63 (315), დარღვევა არ გამოვლენილა;

2018 წელს - 39 (195) ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა;

2019 წელს - 39 (195) ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა;

2020 წელს - 39 (195) ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა.

სურსათში E. coli 0157-ის კვლევა

2016 წელს აღებულია 150 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა.

ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

2015 წელს აღებულია 166 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 12-ში;

2016 წელს - სურსათის 257 ნიმუში (საქონლის ხორცი, ფრინველის ხორცი, ღორის ხორცი, რძე, თევზი). დარღვევა გამოვლინდა 138 ნიმუშში შემდეგ მაჩვენებლებზე: ქლორანფენიკოლი, ტყვია, ქლორტეტრაციკლინი;

2017 წელს - სურსათის 1033 ნიმუში (საქონლის ხორცი, ფრინველის ხორცი, ღორის ხორცი, ბოცვრის ხორცი, კვერცხი, რძე). დარღვევა გამოვლინდა შემდეგ მაჩვენებლებზე: ქლორანფენიკოლი, ნიტროფურაზონი, ფურალტადონი, დიმეტრიდაზოლი, ნიტროფურანთოინი, ფურაზოლიდონი, ტყვია, კადმიუმი, თუთია, ზერანოლი;

2018 წელს - სურსათის 1382 ნიმუში (საქონლის ხორცი, ფრინველის ხორცი, ღორის ხორცი, ბოცვრის ხორცი, თევზი, კვერცხი, რძე), დარღვევა გამოვლინდა 354 ნიმუშში შემდეგ მაჩვენებლებზე: ფურალტადონი, ნიტროფურაზონი, დიმეტრიდაზოლი, ნიტროფურანთოინი, ფურაზოლიდონი, ტყვია, ქლორანფენიკოლი, ივერმექტინი, მეტროქსიპროგესტერონი, მეთილტესტოსტერონი, ზერანოლი, პრომახინები);

2019 წელს - სურსათის 1475 ნიმუში (საქონლის ხორცი, ფრინველის ხორცი, ღორის ხორცი, ბოცვრის ხორცი, კვერცხი, რძე). დარღვევა გამოვლინდა 192 ნიმუშში შემდეგ მაჩვენებლებზე: ნიტროფურაზონი, დიმეტრიდაზოლი, პროგესტერონი, მეტრონიდაზოლი, ტყვია, ნიტროფურანთოინი, ზერანოლი, დაფსონი, ქლორანფენიკოლი.

2020 წელს - 409 ნიმუში (საქონლის ხორცი, ფრინველის ხორცი, ღორის ხორცი, ბოცვრის ხორცი, კვერცხი, რძე) დარღვევა გამოვლინდა შემდეგ მაჩვენებლებზე: დაფსონი, მეტრონიდაზოლი, დიმეტრიდაზოლი, ზერანოლი, მედროქსიპროგესტერონი, მედროქსიპროგესტერონის აცეტატი, ნიტროფურაზონი, ფურაზოლიდონი, ნიტროფურანთოინი, ფურალტადონი, პროგესტერონი, ქლორანფენიკოლი.

ხორცისა და ხორცპროდუქტების სახეობრივი კვლევა

2015 წელს აღებული 98 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა 7-ში; 2016 წელს - 100 ნიმუშიდან 4-ში; 2017 წელს - 90-დან 12-ში; 2018 წელს - 140-დან 34-ში; 2019 წელს - 150-დან 12-ში; 2020 წელს - 140-დან 38-ში.

თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

2015 წელს - 104 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა 21-ში; 2016 წელს - 122-დან 18-ში; 2017 წელს - 129-დან 61-ში; 2018 წელს - 100-დან 54-ში; 2019 წელს - 99-დან 11-ში; 2020 წელს 100-დან 5-ში.

ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე

2016 წელს აღებული 65 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა 16-ში; 2017 წელს - 68-დან 7-ში; 2018 წელს - 220-დან 35-ში; 2019 წელს - 220-დან 15-ში; 2020 წელს - 144-დან 12-ში.

Ca

2015 წელს აღებულია ფარშის 37 ნიმუში, 2016 წელს - 40, 2017 წელს - 30. დარღვევა არ გამოვლენილა.

სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი

2017 წელს აღებულია 13 (65) ნიმუში, 2018 წელს - 12 (60) ნიმუში; 2019 წელს - 5 (25) ნიმუში; 2020 წელს - 5 (25) ნიმუში. დარღვევა არ გამოვლენილა.

რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა/ რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა

2015 წელს აღებულია 150 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 30-ში; 2016 წელს - 250, დარღვევა 17; 2017 წელს - 105 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა; 2018 წელს - 40, დარღვევა 12; 2019 წელს - 60-დან 5-ში; 2020 წელს - 60-დან 8-ში.

რძის ნაწარმში რძის ფხვნილის შემცველობის განსაზღვრა

2018 წელს აღებულია 168 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 3 ნიმუშში, 2019 წელს - 42, დარღვევა 1, 2020 წელს - 42 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა.

გაყინული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა

აღნიშნული კვლევა დაიწყო 2020 წელს. აღებული 96 ნიმუშიდან დარღვევა არ გამოვლენილა.

სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა

2019 წელს აღებულია 10 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 9 ნიმუშში (სუდანის); 2020 წელს აღებულია 34 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 9 ნიმუშში (სუდანის).

სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა

2015 წელს აღებული 100 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა 2-ში (სოიოს პროტეინი, სიმინდის სახამებელი); 2016 წელს - 200 ნიმუშიდან 2-ში (სოიოს ფარში და კარტოფილის სახამებელი); 2017 წელს 120 ნიმუშიდან 1-ში (სამარხვო პროდუქტი); 2018 წელს 30 ნიმუშიდან 1-ში (ჰალვა); 2019 წელს 30 ნიმუშიდან 3-ში (გაყინული სოსისი, ჰალვა); 2020 წელს - 50 ნიმუშიდან დარღვევა არ გამოვლენილა.

მცენარეულ სურსათში ნარჩენი პესტიციდების კვლევა

2015 წელს აღებულია 180 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 9-ში (ალუჩა, მარწყვი, ხახვი, კამა, ახალი კომბოსტო); 2016 წელს - 71, დარღვევა 1 (თხილი); 2017 წელს - 35, დარღვევა არ გამოვლენილა; 2018 წელს - 85, დარღვევა არ გამოვლენილა; 2019 წელს - 62, დარღვევა არ გამოვლენილა; 2020 წელს - 111 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა.

სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა

2017 წელს აღებულია 136 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 13-ში (მცენარეულ ცხიმზე დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი); 2018 წელს - 210 ნიმუში, დარღვევა 3 (შოკოლადის კანფეტი, თაფლაკვერი); 2019 წელს - 150 ნიმუში, დარღვევა 6 (კანფეტი, ვაფლი, მდნარი მცენარეული ცხიმი); 2020 წელს აღებულია 134 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 2 ნიმუშში (მდნარი მცენარეული ცხიმი, მოჭიქული კანფეტი).

ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა

2015 წელს აღებულია 442 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 66-ში (ხარისხობრივი); 2016 წელს - 403, დარღვევა 53 (უშაქრო (დაყვანილი) ექსტრაქტი, ორგანული მჟავების ატიპური ქრომატოგრამა; აქროლადი მჟავები მომატებული); 2017 წელს - 121, დარღვევა 8 (ფიზიკო-ქიმიური); 2018 წელს - 108, დარღვევა 3 (შაქრიანობა); 2019 წელს - 109, დარღვევა 14 (შაქრიანობა, მეთილის სპირტი, უშაქრო ექსტრაქტი, ტიტრული მჟავიანობა, აქროლადი მჟავიანობა, მალვიდინის დიგლუკოზიდის მასური კონცენტრაცია, ლომონმჟავა); 2020 წელს - 199 ნიმუში, დარღვევა 4 ნიმუშში (მალვიდინის დიგლუკოზიდის მასური კონცენტრაცია 23,7 გ/ლ; შაქრიანობა 0,22 გ/ლ და უშაქრო (დაყვანილი) ექსტრაქტი 16.0 გ/ლ).

არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა

2015 წელს აღებულია 484 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 61-ში (მიკრობიოლოგიური, ქიმიური); 2016 წელს - 177, დარღვევა 4 (ქიმიური - ნიტრატი (საზამთრო) იოდის მასური წილი (მარილი), ბელის მავნებელი (ფქვილი); 2017 წელს - 499, დარღვევა 43 (ქიმიური - ტყვია (სუნელი), თაფლი - საქაროზას შემცველობა); 2018 წელს - 574, დარღვევა 30 (ქიმიური - აფლატოქსინი (თხილი), ტყვია (სუნელი), ნიტრატი (ნესვი, ბადრიჯანი), მიკრობიოლოგიური (ლიმონათი, ვარენიკი კარტოფილის); 2019 წელს - 700, დარღვევა 53 (მიკრობიოლოგიური (ჩამოსასხმელი ლუდი), ხარისხობრივი (მარილი - იოდის მასური წილი), ქიმიური - ტყვია (სუნელი), ნიტრატი (საზამთრო, ნესვი, ჭარხალი); 2020 წელს - 812 ნიმუში, დარღვევა 15 (ქიმიური - ნიტრატი (ხახვი, პომიდორი, კიტრი, ახალი კარტოფილი).

სურსათში (მ.შ. ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი) ტყვიის შემცველობის განსაზღვრა

2019 წელს აღებულია 338 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 1 ნიმუშში (სოსისი); 2020 წელს - 394 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა (ჩვილ ბავშვთა კვებაში დარღვევა არ გამოვლენილა).

ცხოველური წარმოშობის სურსათისა და ბავშვთა კვების მიკრობიოლოგიური და ქიმიური კვლევა

2015 წელს აღებულია 658 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 209-ში.

თევზისა და თევზპროდუქტებში ჰისტამინის შემცველობის განსაზღვრა

2016 წელს აღებულია 25 ნიმუში, 2017 წელს - 117, 2018 წელს - 180, 2019 წელს - 117. დარღვევები არ გამოვლენილა; 2020 წელს აღებულია 90 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 2 ნიმუშში.

თევზში ვეტერეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა

2020 წელს აღებულია 30 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 28-ში (ლეუკომალაქტის მწვანე, მალაქტის მწვანე, ფურაზოლიდონი).

სურსათში სანიტარიული მაჩვენებლების, პირობითი პათოგენებისა და პათოგენების კვლევა

2017 წელს აღებულია 53 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 24-ში (მაფნმრ ნჩჯბ - სალათი, კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი, შებოლილი ძეხვი), S. Aureus - რძის პროდუქტები); 2018 წელს - 32, დარღვევა 13 (S. Aureus, მაფნმრ, კოლიფორმები (ნჩჯბ), ობის სოკო, პათოგენები; 2019 წელს - 46, დარღვევა 16 (ნჩჯბ; S. Aureus, მაფნმრ, პათოგენები, მ.შ სალმონელა); 2020 წელს - 55 ნიმუში, დარღვევა 10 (კოაგულაზა დადებითი სტაფილოკოკი, კოლიფორმები, აერობული მიკროორგანიზმები, სალმონელა).

ხორცპროდუქტებში ძვლის შემცველობის განსაზღვრა

2018 წელს აღებულია 25 ნიმუში, დარღვევა არ გამოვლენილა.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი



#3-740

15 ივნისი 2021

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

თემა: 2015-2020 წლების სურსათის მონიტორინგის შედეგები

გთხოვთ მოგვარდოთ 2015-2020 წლებში სააგენტოს მიერ განხორციელებული სურსათის მონიტორინგის წლიური შემაჯამებელი შედეგები. კერძოდ:

- რა პარამეტრები შემოწმდა თითოეულ წელს (ისეთი კრებსითი პარამეტრების შემთხვევაში, როგორცაა მაგ. „სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა“ ან „სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა“ გთხოვთ მიუთითოთ კონკრეტული პარამეტრების ჩამონათვალი);
- რამდენი და რა ტიპის ნიმუში შემოწმდა თითოეული პარამეტრისთვის;
- რამდენ ნიმუშში აღმოჩნდა დარღვევა - თითოეული პარამეტრისთვის (ისეთი კრებსითი პარამეტრის შემთხვევაში, როგორცაა მაგ. „სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა“ ან „სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა“, ან „სურსათში სანიტარიული მაჩვენებლების, პირობით პათოგენებისა და პათოგენების კვლევა“ და სხვ., გთხოვთ მიუთითოთ კონკრეტული პარამეტრი, რომელიც იყო დარღვეული).

მადლობთ წინასწარ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პასუხი გამოქვეყნდება asocireba.ge ვებგვერდზე და გამოყენებული იქნება საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის.

პატივისცემით

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი



საკონტაქტო პირი: ლია თოდუა, მობ: 599577959, ელ-ფოსტა: liatodua@csrdg.ge

